საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 7 17 00337731

10/02/2017

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 13
თარიღი 14 02 2017 წ.

აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ დიმიტრი ავალიანს
მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27

ბატონო დიმიტრი,

თქვენი N23 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, რეგისტრირებული დანაშაულის სტანდარტული სტატისტიკური ფორმის ველში „დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (მუხლი 246-259)" მითითებული დანაშაულის მაჩვენებელი მოიცავს იმავდროულად, ველში „დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ" (მუხლი 259^1-259^4) მითითებულ დანაშაულის მაჩვენებელს. შესაბამისად, არითმეტიკულად მონაცემების დაჯამებისას, უნდა იქნას გათვალისწინებული მხოლოდ ველში „დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ" (მუხლი 246-259) არსებული დანაშაულის მონაცემები.

ანალოგიურად, ველში „დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ" (მუხლი 308-322) მითითებული დანაშაულის მაჩვენებელი მოიცავს იმავდროულად, ველში „ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა" (მუხლი 322^1-322^2) მითითებულ დანაშაულის მაჩვენებელს. შესაბამისად, არითმეტიკულად მონაცემების დაჯამებისას, უნდა იქნას გათვალისწინებული მხოლოდ „დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ" (მუხლი 308-322) არსებული დანაშაულის მონაცემები.

პატივისცემით,

ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) / საჯარო

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

ინფორმაციის სამმართველო
სამმართველოს უფროსი
გიორგი სახოკია